პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
შაბათი, 1 ნოემბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ

№ 639 1 და 2 კ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავედლე ელს. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო. განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲗ.

ახლად მოსულ წითელ-არმიელებს სავალდებულო კარანტინში ვატარებთ.

კარანტინის მიზანია თავიდან ავიცილოთ ის ავადმყოფობანი, რომელნიც მოსალოდნელია თან მოყვეთ ახალწვეულთ.

მხოლოდ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა კარანტინის გატარება ყოველ დარგში.

კარანტინის დროს სამხედრო საქმის შესწავლას არ ვაწარმოებთ.

ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ზედმეტი დროს ქონებისათვის ახალ მოსულებთან საუბრებისა და გაცნობის საქმეში.

მეთაურთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა მთავარი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს იქითკენ, რომ რაც შეიძლება უკეთესად და ზედმეტად იქნეს გამოყენებული კარანტინის ხანა.

პირველ ყოვლისა ახალწვეულები უნდა გავაცნოთ წითელი ჯარის შენებას, მის მიზანს და დანიშნულებას.

საუბრების დროს საჭიროა მოყვანილ იქნეს ცოცხალი მაგალითები. ფართედ უნდა იქნეს გატარებული ძველი და წითელი ჯარის შედარება.

საჭიროა ახალწვეულებს ვებაასოთ კარანტინის მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე.

სახელდობრ უნდა აუხსნათ მათ, რომ ამას უბრალო კაპრიზით კი არ ჩავდივართ—ჩავდივართ საჭიროების მოთხოვნილებით.

ყველაზე მთავარი ყურადღება კი ნაწილიდან თვითნება წასვლას და დეზერტირობას ესაჭიროება.

დეზერტირს შეაქვს არევ-დარევა ჯარის ცხოვრებაში. დეზერტირობა სულიერად ხრწნის ჯარს. წითელ ჯარში არ უნდა იყოს არც ერთი დეზერტირი, არც ერთი ორგული ადამიანი საბჭოთა ხელისუფლების, მუშისა და ღარიბი გლეხის დიქტატურის.

დაბოლოს საჭიროა ყურადღება მიექცეს სიმულიაციას.

სიმულიანტი ისეთ პიროვნებას ეწოდება, რომელიც ავად არ არის, მაგრამ აბუზულ წიწილასავით დაიარება, ხელები მუდამ მუცელზე აქვს მიჭერილი. და კაცს ეგონება ეს-ეს არის განუტევებს სულსო.

სინამდვილეში კი ისეთი ჯანსაღია, რომ ქვასაც კი მოინელებს.

ასეთი პირები ხშირი მოვლენა იყო ძველ ჯარში.

წითელ ჯარში სიმულიანტი, მატყუარა არ უნდა იყოს. ჩვენს რიგებში არ უნდა იყოს არც ერთი ისეთი კაცი, რომელიც ჯანსაღია და მაინც ყოველ დღე ექიმებთან დაიარება.

განა შინ ყოფნის დროს ყოველ დღე კარგად ვგრძნობთ თავს? რასაკვირველია, არა. ხან თავი გვტკივა, ხან ფეხი და ხან მუცელი.

და არც შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ადამიანი, რომელსაც სრულიად არაფერი სტკივა.

და შეიძლება ჩვენს რიგებში იყოს ისეთი უღირსი შვილი მუშურ-გლეხურ ხელისუფლების, რომ წარა-მარა დაიარებოდეს ნაწილის ექიმთან. სინამდვილეში კი არა სტკიოდეს რა. დადიოდეს იმ მიზნით, რომ არ შეასრულოს ყოველ დღიური მოვალეობანი.

ასეთ ამხანაგებს გამოსწორება ესაჭიროება და ამ გამოსწორებისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა საუბარი, ახსნა და განმარტება.

ვეცადოთ ვისარგებლოთ კარანტინით და სათანადოთ გამოვიყენოთ მისი დღეები.

ᲛᲐᲙᲓᲝᲜᲐᲚᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ.

როგორც მოსალოდნელი იყო ინგლისში საარჩევნო კამპანიაში ინგლისის „მუშათა პარტია“ სრულიად დამარცხდა. ლიბერალური პარტიაზე (საშუალო ბურჟუაზიის პარტია) ზედმეტია ლაპარაკი, ის თითქმის სრულიად განადგურებული გამოვიდა ამ არჩევნებიდან, მაგრამ აქ ადგილი ქონდა უფრო შეგნებულ პოლიტიკურ თვითმკვლელობას, ვიდრე აშკარა ბრძოლაში დამარცხებას, რადგან კრიტიკულ და გადამწყვეტ მომენტში, როდესაც პირისპირ უნდა შეხვედროდენ მუშათა კლასი და ბურჟუაზია, საშუალო და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებმა ბუნებრივად მხარი დაუჭირა მსხვილ ბურჟუაზიულ პარტიას, კონსერვატორებს. ლიბერალურ პარტიის მემარცხენე ფრთა, რომელიც მომხრე იყო მუშათა მთავრობასთან თანამშრომლობისა, სასტიკად დამარცხდა და მათი ბელადი ასკვიტი არც ერთ საარჩევნო ოლქში არ იქნა არჩეული. მომავალ პარლამენტში ძალთა განწყობილება ისეთია, რომ კონსერვატორული პარტია ასით მეტი იქნება, ვიდრე, რომ დაუშვათ, გაერთიანებული ყველა დანარჩენ პარტიების ოპოზიცია. აქედან უთუოთ შესდგება მთლიანი კონსერვატორების მთავრობა განუყრელ კერზონით.

რას მოასწავებს უკანასკნელ ამბები? აშკარაა ყველასათვის, რომ მაკდონალდის მთავრობის დამხობით ბოლო ეღება იმ „პაციფისტურ“ და „დემოკრატიულ“ ერას, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულ ლაზლანდარები დიდი ამბავით შეხვდენ ძალაუფლების, მაკდონალდის და ერიოს ხელში გადასვლის დროს. ბურჟუაზიამ მაკდონალდის მთავრობა გამოიყენა რამოდენიმე მწვავე საკითხების გადასაწყვეტად, რის მოგვარება მისთვის უხერხული და ძნელი იყო. მაკდონალდმა თავისი მოვალეობა პირნათლად მოიხადა ბურჟუაზიის წინაშე და ეხლა მას თავს უკრავენ. ეს დამარცხება მუშათა პარტიისათვის, უკეთ რომ ვსთქვათ, მუშათა კლასისათვის ითამაშებს დიდ როლს. მან (არჩევნებმა) აშკარად დაანახვა მუშათა მასებს, რომ მისი ბელადები მას ღალატობენ კრიტიკულ მომენტში (გაიხსენეთ მათი მოქმედება ზინოვიევის ყალბი წერილის გარშემო) და მომავალ კონსერვატორების მთავრობის მოღვაწეობა, რაც ვერ იქნება ხანგრძლივი, დაანახვებს მათ იმ ბოროტებას, რომელსაც აყენებს მას კონსერვატორები. ამ არჩევნებმა გამოაშკარავა კლასიური ბუნება ყველა პარტიების. კლასიური ანტაგონიზმი გამოაშკარავდება არა მარტო პარლამენტის კედლებში, არამედ გასცილდება მას.

პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების დაახლოების თვალსაზრისით ეს დამარცხება უდრის მუშათა კლასის გამარჯვებას.

ნ.

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.

ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ 386 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ—147, ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲔᲑᲛᲐ—39.

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ.

ზოგიერთ სამრეწველო ოლქში ლიბერალების დანაკლისი ხმებში უდრის 5000 და 10.000-ს ეს გარემოება და ასკვიტის დამარცხება დიდი მნიშვნელობის ფაქტია, ვინაიდან ასკვიტი არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა თანახმა კონსერვატორების მთავრობაში მონაწილეობაზე, რაიც არ შეიძლება ითქვას ლოიდ-ჯორჯის შესახებ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ.

არჩევნები მოწმობს კომუნისტების გავლენის ზრდას. ხუთ ოლქში სადაც წამოყენებულ იქნა კომუნისტების კანდიდატურა, იმათ მიიღეს 40,000 ხმა. ამ ოლქების რიცხვში შედის გრინოვი, სადაც კონსერვატორებმა მიიღეს 12.700 ხმა, კომუნისტებმა—7,500 მუშათა პარტიის კანდიდატმა—5,800.

ციფრები ამტკიცებენ იმას, რომ მუშათა პარტიას, რომ არ ეწარმოებია განხეთქილების პოლიტიკა, იმ შემთხვევაში არჩეული იქნებოდა მუშათა კანდიდატი.

კომუნისტურ დეპუტატებმა უშუალოდ მიიღეს 10.000 ხმა დასავლეთ ბირმინგამში აღმოსავლეთ ნოტინგამში.

ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ.

არჩევნების შედეგებმა გააძლიერეს კონსერვატორების იმედი მუშათა მთავრობის დაცემისა და კონსერვატიულ მთავრობის აღდგენის შესახებ.

გაზეთი „მორნინგ პოსტი“ სხვათა შორის აღნიშნავს, თუმცა კონსერვატორებს ჯერ ჯერობით აბსოლიუტური უმეტესობა აქვს, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

„დეილი ექსპრესი“ გამოსთქვამს იმედს, რომ კონსერვატორები მიიღებენ აბსოლიუტურ უმრავლესობას და შექმნიან მტკიცე მთავრობას.

ასკვიტის ორგანო „დეილი ნიუზი“ ამბობს, რომ მუშათა პარტია როგორც სჩანს სრულიად დამარცხდა, და კონსერვატიული პარტია, რომც აბსოლუტიური უმრავლესობა არ დაურჩეს ახალ პარლამენტში, მაინც იმდენად ძლიერი იქნება, რომ იჯირითებს გაერთიანებულ ოპოზიციის ზურგზე“.

„დეილი გერალდი“ თავს იკავებს და სდუმს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ“.

ამ სათაურით გაზეთ „იზვესტიაში“ მოთავსებულია სტეკლოვის წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ არ ვიცით ჯერ როგორია ინგლისის არჩევნების საბოლოო შედეგები. მაგრამ ის, რაც ვიცით, სრულიად ცხადყოფს მაკდონალდის მთავრობის დამარცხებასა და კონსერვატორების გამარჯვებას.

როგორც უკანასკნელმა არჩევნებმა დაგვანახეს, ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება თანდათან უახლოვდება ბურჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკურ ურთიერთობათა ნორმალურ ტიპს.

ერთმანეთს უპირდაპირდება ორი კლასი და მათი პოლიტიკური შეხედულების გამომხატველი—ორი პარტია.

ინგლისის პროლეტარიატმა უნდა დაიჭიროს კიდევ მრავალი გამოცდები და პირველ რიგში იმათ უნდა გაინთავისუფლონ თავი თავიანთი ლიდერების გავლენისაგან, წამოაყენონ თავიანთი წრიდან სხვა ბელადები, რომლებსაც ესმით დროული ამოცანა და შეუძლიათ წაიყვანონ მუშათა კლასი გამარჯვებისაკენ.

ჩვენი თვალსაზრისით ინგლისის არჩევნების შედეგები ვითომც, გამოიწვევს ჩვენსა და ინგლისს შორის ურთიერთობის ერთგვარ გართულებას.

მაგრამ ეს გართულება არ იქნება იმდენად ხანგრძლივი. შემცდარი იქნებოდა აგვეხსნა ინგლისის არჩევნები, როგორც ხმის მიცემა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ეს ხელშეკრულება ასე თუ ისე დამტკიცებულ იქნება კონსერვატიული მთავრობის მიერ ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ.

ერთი მხრივ ინგლისის ეკონომიური მოთხოვნილება და მეორეს მხრივ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო გავლენის ზრდა აიძულებს ინგლისის ბურჟუაზიას გადასდგას ეს ნაბიჯი.“

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

ᲧᲐᲚᲑᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ.

ფრანგულ გაზეთ „ერ-ნუველ“-ში გამოქვეყნებულია ყალბი ინტერვიუ ჩიჩერინთან საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

ჩიჩერინს ამ ჟამად არავითარი ინტერვიუ (აზრის გამოთქმა, გაზიარება) არ მიუცია ამ თემაზე.

ინტერვიუში ხშირადაა ნახსენები რუსეთი და არა საბჭოთა კავშირი.

ასე რომ ეს ინტერვიუ უნდა მიეწეროს 1922—23 წლებს. ირკვევა, იყო თუ არა ასეთი შინაარსის ინტერვიუ ერთი, ან ორი წლის უკან.

იტალიის პრესა ცნობის შესახებ.

იტალიის პრესა სიფრთხილით განმარტავს დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

გაზეთი სხვათა შორის სწერს, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა გაუარესდა, ვინაიდან საბჭოთა კავშირი თავის გარშემო იკრებს აზიის ყველა ერებს—ჩინელებს, ინდუსებს, ავღანელებს და ამზადებს მათ ინგლისის საწინააღმდეგოდ.

საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

პრესა.

„ტაიმსი“ სწერს: საფრანგეთის მეზობლები მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ საფრანგეთმა უღალატა ამერიკას უარყოფით პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ. გაზეთი გაკვირვებას გამოსთქვამს—როგორ მოტყუვდა საფრანგეთი იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობამ ჯერ გამოიყენა მაკდონალდი და შემდეგ კი შეთქმულება მოუწყო. გაზეთის აზრით საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება გაჭიანურდება და ბოლოს დამარცხდება, მხოლოდ საბჭოთა კავშირი ამ დროს განმავლობაში საფრანგეთის პოლიტიკურად გახრწნის ცენტრიო.

მოსკოვის ფეიქრები-გერმანიის ფეიქრებს·

ტრიოხგორნის მანუფაქტურის მუშებმა გაუგზავნეს გერმანიის ფეიქრებს დროშა, მაქვასაგან გაკეთებული ხუთწვერა ვარსკვლავი და 2.000 კაცის ხელმოწერილი წერილი,

ამ დღეებში გერმანიის მუშებისაგან მოვიდა საპასუხო წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენ დიდის სიხარულით ვღებულობთ თქვენს სალამსა და დროშას.

ჩვენ დიდის პატივით უყურებთ თქვენს წითელ არმიას, რომელიც შედგენილია თქვენი ქვეყნის მუშურ გლეხური მასებისაგან. დროშა ჩვენ გაგვამხნევებს ჩვენი მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი ბრძოლა მძიმე იქნება, მაგრამ ჩვენ არ ვიგრძნობთ თავს ობლად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ მსოფლიო პროლეტარიატთან კავშირით დაგვეხმარებით ჩვენ.

მთავრობის კრიზისი პოლონეთში

29 ოქტომბერს პოლონეთის სეიმისთვის მოულოდნელად წამოიჭრა მთავრობის კრიზისი.

სახალხო დემოკრატების წარმომადგენელმა გლომბინსკიმ სასტიკად გააკრიტიკა მთავრობა და კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრი სკრჟინსკი.

სალამოს სხდომაზე გრაბსკიმ განაცხადა, რომ მთავრობას არ შეუძლია განაგრძოს მუშაობა, ვინაიდან გლომბინსკიმ ნება მისცა თავს ცილი დაეწამებია მთავრობისთვის, რომ ისე ემორჩილება უცხოელ სახელმწიფოების გავლენასო.

გრაბსკიმ მოითხოვა სეიმის აზრი ამის შესახებ და განაცხადა, რომ სეიმის თათბირის დროს მთავრობას არ შეუძლია დარჩეს სხდომაზეო.

გრაბსკის განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, სეიმმა შესწყვიტა სხდომა.

პოლონეთის სოციალისტების პარტიამ დაადგინა შეიტანოს სეიმში რეზოლიუცია, რომ მთავრობის საგარეო პოლიტიკა ეფარდება სახელმწიფოს ინტერესებსო.

კომკავშირელთა პროცესი

ვარშავაში იწყება კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის გასამართლება. სასამართლოში მიცემულია 20 კაცზე მეტი.

იაპონია და ჩინეთი.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა გადასწყვიტა კვლავ გააგზავნოს დამხმარე ძალები ჩინეთში.

შესაძლებელია იაპონია გამოვიდეს შუამავლად უ-პეი-ფუსა და ფინ. იუი-სიანს შორის, თუმცა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს ამას.

საფრანგეთის შემდეგ·

ჩეხო-სლოვაკიის ზომიერ ნაციონალ—დემოკრატების ორგანო აცხადებს, რომ რეალური პოლიტიკის ინტერესები მოითხოვენ ჩეხო—სლოვაკიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.

„ამ დრომდის, ამბობს გაზეთი, ჩეხო—სლოვაკიას შეეძლო საბჭოთა კავშირის ცნობა უფრო სასურველ პირობებში“.

გელლეინი.

გერმანიის რეიხსტაგის კომუნისტი დეპუტატი, რომელიც დაპატიმრებული იყო, გადაყვანილ იქნა ლეიპციგში.

საუბარი წითელ-არმიელთან ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ*)

II

შევეცდები თანდათანობით დაგანახვოთ განსხვავება ძველსა და ახალ სისტემათა შორის და თქვენთვის ნათელი გახდება ახალი სისტემის დადებითი მხარეები.

უპირველეს ყოვლისა თქვენ იკითხავთ რა არის ტერიტორიალური სისტემა, რას ნიშნავს ტერიტორიალური ლეგიონი და სხვა.?

სიტყვა ტერიტორიალური ქართული არ არის, არც რუსულია, ის წარმოსდგება ძველი ლათინური „ტერა“ დან, რაც ნიშნავს, მიწას, ტერიტორიალური, ესე იგი, ის რაც დამოკიდებულია მიწიდან, ადგილთან.

ავიღოთ მაგალითისათვის ჩვენი დივიზიის პირველი ლეგიონი. შეიძლება თუ არას მას უწოდოთ ტერიტორიალური ლეგიონი? არა. არ შეიძლება, ვინაიდან ის არ არის დამოკიდებული მიწასთან, უკეთ რომ ვსთქვათ ადგილთან ანუ თფილისთან. ლეგიონის შევსება წითელ არმიელებით არ ხდება რომელიმე განსაზღვრულ ადგილიდან, მას არ აქვს მიჩენილი რომელიმე ასეთი ადგილი, რომლის გარეშე მისი ყოფნა შეუძლებელი იყოს. დღეს მას შეუძლია იყოს თფილისში, ხვალ კიდევ ქუთაისში და ზეგ კი ბათომში.

ახლა ავიღოთ ჩვენი დივიზიის მეორე ლეგიონი. რატომ ქვია მას ტერიტორიალური ანუ ადგილთან დამოკიდებული?

იმიტომ რომ ის მართლაც დამოკიდებულია ადგილთან ერთ რომელიმე მისადევართან. ლეგიონის ცვალებად შემადგენლობის შევსება ხდება ამისათვის მიჩენილ მისადევრისაგან. ყოველივე ლეგიონის პატარა ნაწილს, მაგალითად ასეულს, გუნდს, აქვს თავისი მისადევარი საიდანაც ის ღებულობს შევსებას და იმ მისადევარში ის აწარმოებს მშრომელთა სამხედრო მომზადების საქმეს. ასეთი პირველ ლეგიონს არ აქვს. უკანასკნელი შევსებას ღებულობს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

მეორე ტერიტორიალური ლეგიონი თავის მისადევარის გარეშე მაგალითად ტფილისისა წარმოუდგენელია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის საომრათ გამზადებული გადის ბრძოლის ველზე, მაშინ მასთან ყავს თავისი ცვალებად შემადგენლობაც.

რომ ავიღოთ ახლა ჩვენ 2 რე ლეგ. და გადავიყვანოთ სადმე, მაგალითად ბათომში, ჩვენ უნდა მოვაცილოთ მას მისი მისადევარი, მისი ცვალებადი შემადგენლობა და იქ ახალ ადგილზე ხელახალი მისადევარი და ცვალებადი შემადგენლობა უნდა აღმოუჩინოთ.

აი თქვენ ხედავთ თუ რა დამოკიდებულება ქონია მეორე ლეგიონს თფილისთან და მის ახლო მახლო მაზრებთან.

ამიტომ ეძახიან მას ტერიტორიალურ, ესე იგი ადგილ-მიდამოსთან დამოკიდებულს.

პირველ ლეგიონს კი კიდევ ეძახიან ძირედ ან და საველე ლეგიონს.

აი, მოკლეთ რას წარმოადგენს ტერიტორიალური ლეგიონი.

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ სწარმოებს ტერიტორიალურ ნაწილების შევსება.

როგორც ვსთქვით, ტერიტორიალური ნაწილი ანუ ლეგიონი შევსებას, ესე იგი წითელ არმიელებს, ღებულობს განსაზღვრულ ამისათვის მიჩენილი რაიონის მისადევრებისაგან.

ტერიტორიალური ნაწილიც იქა დგას, სადაც ის ღებულობს წითელ არმიელებს.

მაგრამ აქ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ, რომ ტერიტორიალურ ნაწილებში არსებობს ორნაირი შემადგენლობა წითელ-არმიელებისა

პირველს ეძახიან ძირედ შემადგენლობას, მეორეს კი ცვალებად შემადგენლობას.

რას ნიშნავს ეს? ლეგიონის ყოველ დღიური არსებობისა და ცვალებად შემადგენლობის მომზადებისათვის სჭირდება მუდმივი ხალხი, რომლებიც ინიშნებიან ტერიტორიალურ ნაწილში არა განსაკუთრებულ მისადევრიდან, არამედ სხვა და სხვა კუთხიდან და სამსახურს გადიან ისე, როგორც სხვა საველე ნაწილში, მაგალითად პირველ ლეგიონში და იმყოფებიან ნაწილში მუდმივათ, ესე იგი სამსახურისათვის განსაზღვრულ ვადის განმავლობაში.

მათ ეძახიან ძირედ შემადგენლობას.

სულ სხვას წარმოადგენს მეორე ნაწილი ლეგიონის შემადგენლობისა. მას ეწოდება ცვალებადი შემადგენლობა, რადგან ისინი განსაზღვრულ დროსა და ვადით გამოიყვანება სამსახურში სასწავლით. დანარჩენ დროს კი ისინი იმყოფებიან თავიანთ ოჯახში და ეწევიან მეურნეობას. ამას მოკლებულია ლეგიონის ძირედი შემადგენლობა.

სულ სხვა სურათია საველე ლეგიონში. იქ არ არსებობს არც ძირედი და არც ცვალებადი შემადგენლობა წითელ არმიელისა. ყოველივე მათგანი განსაზღვრულ ვადით მუდმივათ უნდა იყოს ლეგიონში და სამსახურის გათავების შემდეგ ბრუნდება თავის სახლში და ჩაეწერება ტერიტორიალურ ლეგიონის იმ ნაწილში, რომელიც იმყოფება მის საცხოვრებელ ადგილის გასადევარში.

ახლა განვიხილოთ ტერნაწილებში სამსახურის გასვლის პირობები.

1. ტერნაწილების ძირედი შემადგენლობა სამსახურს გადიან საერთო წესით ისე, როგორც საველე ნაწილებში წითელ არმიელები არსებულ დებულებების მიხედვით.

2. ცვალებადი შემადგენლობაში ჩაიწერებიან ოთხი ჯარში გაყვანილ. წინა წლეებში დაბადებულებები ესე იგი თუ ჯარში გაყვანილია 1902 წელში დაბადებულები, ცვალებად შემადგენლობაში ჩაიწერებიან 1901, 1900, 1899 და 1898 წელში დაბადებულები და მათი ცვალებად შემადგენლობაში ყოფნა განისაზღვრება ოთხი წლით. ესე იგი ისინი ოთხი წლის განმავლობაში ითვლებიან ცვალებად შემადგენლობაში.

3. მოქალაქის ცვალებად შემადგენლობაში ჩაწერა ხდება ერთხელ წელიწადში. ერთ წლევანობისა და ამის დამიხედვით ცვალებად შემადგენლობიდან გამოირიცხება უფროსი წლევანობის.

მაგალითად: თუ ცვალებად შემადგენლობაში ჩაწერილია 1901,1900 1899 და 1898 წ. წ. დაბადებულები, 1902 წელში დაბადებულების სამსახურის გათავების შემდეგ უკანასკნელნი ესე იგი 1902 წელში დაბადებულები ჩაიწერებიან ცვალებად შემადგენლობაში და მის მაგივრად ამოირიცხებიან 1898 წელში დაბადებულები და ნამდვილ სამსახურში გაიყვანებიან საველე ჯარში 1903 წელში დაბადებულები: მაშასადამე ჩვენ მივიღებთ საველე ჯარში და ტერნაწილების ძირედ შემადგენლობაში 1903 წელში დაბადებულებს და ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობაში 1902, 1901, 1900, 1899, წ. წ. დაბადებულები.

4. ცვალებად შემადგენლობაში ყოფნა ეთვლება მოქალაქეს ნამდვილ სამსახურში ყოფნათ და ის ვალდებულია დაემორჩილოს ყოველგვარ სამხედრო კანონებს.

5. თავის ნაწილიდან წასვლა თუმცა დროებით შეიძლება მხოლოდ სათანადო უფროსის ნებართვით. მაგალითად მოქალაქე ივანე ქერქაძეს უნდა სოფლიდან ქალაქში წავიდეს სამუშაოთ. ის ვალდებულია ნება აიღოს თავის უფროსისაგან.

6. სამსახურში ან სამუშაოზე მყოფ ცვალებად შემადგენლობას სასწავლოდ შეგროვების დროს ენახება როგორც სამსახურში ადგილი ისე სამუშაო და არავის უფლება არ აქვს ის დაითხოვოს სამსახურიდან სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო.

7. ყოველ წითელ არმიელს ცვალებადი შემადგენლობისას აქვს თავისი წითელ არმიელის წიგნაკი რომელშიც მოთავსებულია საჭირო ცნობები და რომელიც ითვლება საცხოვრებელ საბუთად.

8. ცვალებად შემადგენლობის სასწავლო შეკრება ხდება წელიწადში ერთხელ არა უმეტეს ორი თვის ვადით. დანარჩენ დროს კი ყველანი ეწევიან თავიანთ ოჯახში მეურნეობას.

9. ყოველი მოქალაქე რომელსაც არ აქვს გავლილი ნამდვილი სამსახური, სანამ ჩაიწერებოდეს ტერნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ვალდებულია გაიაროს ეგრედ წოდებული „მოსამზადებელი ხანა“ რომლის ვადა განსაზღვრულია სამი თვით. ამ ხნის განმავლობაში მან უნდა შეიძინოს წინასწარ პირველდაწყებითი სამხედრო ცოდნა.

10. დათხოვნა და უვადო შვებულებაში გაშვება ცვალებად შემადგენლობისა ხდება საერთო წესით.

11. ყოველივე მოქალაქე, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ცვალებად შემადგენლობაში ყოფნის დროს არ შეასრულებს სათანადო პროგრამას სწავლისას და თავს დაანებებს, ჩაითვლება სამსახურის დაუმთავრებლათ და საერთო წესით გაიყვანება კვლავ ჯარში.

12. ყოველივე მოქალაქე ცვალებად შემადგენლობაში ყოფნის დროს, რომელიც მოისურვებს ერთი ადგილიდან საცხოვრებლათ მეორე ადგილზე გადასვლას მიმართავს თავის უფროსს და უკანასკნელის განკარგულებით ის გადაირიცხება იმ ტერიტორიალურ ნაწილში, რომელიც იმყოფება იმ ადგილას, სადაც წითელ არმიელი აპირებს დასახლებას.

13. როგორც წინათ ვსთქვით ცვალებად შემადგენლობის სწავლება ხდება სასწავლო შეკრების ან კარვობის დროს. ასეთი შეკრება შეიძლება მოხდეს როგორც ათასეულებით ისე ლეგიონებით ერთად შეკრებით.

ყოველ შემთხვევაში ლეგიონების ნაკლებათ შეკრება არ არის სასურველი.

14. სასწავლო შეკრების დროს ცვალებადი შემადგენლობა ემორჩილება ყველა სამხედრო წესებს და კანონებს ისე როგორც საველე ნაწილებში და ჩაირიცხებიან ყოველგვარ კმაყოფაზე ესე იგი მიეცემათ მათ სასმელი, ტანისამოსი.

15. ლეგ. ძირედი შემადგენლობა დალაგებულია მუდმივათ ყაზარმებში ისე როგორც საველე ნაწილებში.

16. ცვალებადი შემადგენლობაც სასწავლო შეკრების დროს მოთავსდებიან ან ყაზარმებში ან კიდევ კარვებში.

მ. გ.

---

*) იხ. გაზ. წ. არმ. № 622.

ჩვენ წითელ ჯარში

უნცროს მეთაურთა სკოლა.

სკოლა.

უმცროს მეთაურთა სკოლა გაყოფილია ორ საფეხურად.

პირველ საფეხურის სკოლაში მეცადინეობენ უმწყობრო ოცეულის კურსანტები. მეცადინეობა სწარმოებს დილის 8-10 საათამდე. უმთავრესად სკოლაში გადიან წერა-კითხვას და ანგარიშს ახალი მეთოდით.

მეორე საფეხურის სკოლაში მეცადინეობენ სკოლის მსროლელ და ტყვიამფრქვევ გუნდის თითქმის კურსანტთა მთელი შემადგენლობა. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ბუნების მეტყველებას და გეოგრაფიას, რომელშიდაც დანიშნულია გამოცდილი პედაგოგი.

კურსანტები ძლიერ დაინტერესებული არიან მეცადინეობით და დიდი სიხალისით ხვდებიან მეცადინეობისათვის დანიშნულა საათებს.

ლენინის კუთხეები.

თუმცა სურამში და სამეგრელოში ყოფნის დროს რევოლიუციის ბელადების სურათები, პლაკატები, ლოზუნგები და სხვა ქარმა და წვიმებმა დაგვიხია და წაგვიხდინა, მაგრამ ჩვენი შეფის—ცეკავშირის დახმარებით შევიძინეთ ხელახლა ახლები და ისევ მშვენივრათ მოვრთეთ მთელი ყაზარმა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: ა) მსროლელ ასეულის, ბ) ტყვია მფრქვევ ოცეულის და გ) უმწყობრო ოცეულის ლენინის კუთხეები.

კუთხეებში სწარმოებს საუბარი ლენინის ბიოგრაფია-მოძღვრებაზე. გაზეთების და პოლიტ-ბროშურების კითხვა ახსნა-განმარტებით, პოლიტსაათი, სასკოლო მეცადინეობა, კრება და სხვ.

სამკითხველო.

გვაქვს აგრეთვე მდიდარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც სავსეა დიდ ძალი ლიტერატურით-რუსულ ქართულ ენეზე.

მოგვდის თითქმის ყველა ჟურნალ გაზეთები, რომლებიც ნაწილდება ასეულსა და ოცეულებში.

სწარმოებს გაზეთების კითხვა ჯგუფური და სხვა.

პოლიტიკურათ გათვითცნობიერებულ კურსანტებს ძლიერ აინტერესებთ ყოველ დღიური ცნობები და ყოველ დღიურათ კითხულობენ გაზეთს, გამოაქვთ პოლიტ-წიგნაკები და იძლევიან ათასგვარ შეკითხვებს, როგორც ზოგ გაუგებარ აზრების, ისე უცხო სიტყვების შესახებ.

ამას გარდა სამკითხველოში წიგნის გაცემისას აცნობენ კურსანტს მის მოკლე შინაარს და მრავალი სხვა.

ე. ცომაია.

ესეც გამოვასწოროთ.

ყველა ნაკლი, რომელიც კი სდევს თითეულ სამხედრო ნაწილს, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა და გადაბარგების დროს, სავსებით აიცილა ჩვენმა საარტილერიო დივიზონმა.

ბანაკიდან დაბრუნება, მოწესრიგება, დალაგება და სხვა ყველა დასრულდა ჩვენთან და დივიზიონი დამშვიდებით შეუდგა ცხოვრებას.

ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ ერთი მაინც ვერ მოწესრიგდა.

ეს თავის თავად ძლიერ ადვილად ჩამოსაშორებელი ნაკლია.

ვლაპარაკობ საგარნიზონო ყარაულის შესახებ.

დანიშნულია დრო, რომლის გავლის შემდეგ უნდა ხდებოდეს ახალი განწესების გასვლა და ძველის გამოცვლა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ძველი ყარაული 2 და 3 ნახევარი საათი სდგას ყარაულში (ზედმეტი საათები). ეს იმიტომ ხდება, რომ ახალი განწესება თავის დროზე არ გადის და არ სცვლის ძველებს. აქედან კი უფრო დიდი დაბრკოლებები გამომდინარეობენ: მაგალითად ვახშამის დარიგებისათვის ხელის შეშლა, სალამოს ამოკითხვის დაბრკოლება და მრავალი სხვა.

ყველამ კარგად იცის თუ როგორ იმოქმედებს ეს გარემოება წითელ არმიელებზე.

რაშია საქმე? ნუ თუ ვერ უნდა მოვსპოთ ეს უბრალო დაუდევრობა და ბოლო ვერ უნდა მოუღოთ იმ უსიამოვნებას, რომელიც თანა სდევს ყოველ ასეთ შემთხვევას?

სამხკორი **ლ—ო.**

საკლუბო მუშაობა 6-სე ლეგიონში.

20 ოქტომბერს შესდგა ლეგიონის კლუბის მმართველობის და ამავე ლეგიონის წრეების ხელმძღვანელთა თათბირი. თათბირს თავმჯდომარეობდა სენაკის სამაზრო სპორტ-ინსტრუქტორი ამხ. ი. კიზირია.

დღის წესრიგში იყო ოთხი ფრიად საყურადღებო საკითხები: 1. მოხსენება დივიზიის სამხკორთა თათბირის შესახებ, არსებულ წრეების მუშაობა და ჩამოსულ წითელ მეთაურების ჩაბმა საკლუბო მუშაობაში. განსახილველი იყო აგრეთვე დივიზიის პოლიტგანყოფილებიდან მიღებული ამხ. წითლიძის წერილი და სხვა მიმდინარე საკითხები.

ლეგიონის წრეების მუშაობის შესახებ მოხსენება მეტად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. მოხსენებამ ნათელყო, თუ როგორ ენერგიულად ეწევიან ჩვენი წრეები თავის საქმიანობას.

თათბირზე გამოაშკარავდა აგრეთვე, რომ ახლად მოსული წითელი მეთაურები დიდი ენტუზიაზმით ჩაბმულან საკლუბო მუშაობაში.

ამხ. წითლიძის წერილმა სავსებით მოგვცა მომავალი მუშაობის გეგმა. წერილმა ყველა გაურკვეველ საკითხებში გახსნა კვანძები.

შემდეგ ლეგიონის მომუშავეების მიერ აღძრული იქნა შუამდგომლობა ამხ. კიზირიას მივლინების შესახებ ლეგიონში.

ამავე თათბირმა გადასწყვიტა მახლობელ სოფლების აყვანა ლეგიონის მზრუნველობის ქვეშ. თათბირმა ხაზგასმით აღნაშნა აგრეთვე ყველა ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი ქონდა საკლუბო მუშაობაში და ამჟამად იწყებს ახალი გეგმების მიხედვით მუშაობას.

ეხლა, როდესაც ლეგიონის ნაწილები მიემგზავრებიან მაზრის სხვა და სხვა სოფლებში, საჭიროა მეტი ენერგიით ჩაებმან ჩვენი უფ-პოლიტ-შემადგენლობა კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში და ხელი შეუწყონ გლეხებისა და წითელ არმიელებს შორის დაახლოებას.

მ. ბოლქვაძე.

1-ლ ლეგიონის ექიმ-ფერშლების საყურადღებოთ.

დღეს, პირველი ლეგიონი ღებულობს ახალწვეულებს და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სისუფთავეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდი მდგომარეობა შეიქმნება.

ამის ნიშნები უკვე არის. მიაქციეთ ყურადღება იმ წყალის მილს, რომელიც თქვენ ქსენონთან არის.

დაიცავით იქ სისუფთავე.

ახალ წვეულებთან საჭიროა უფრო მეტი სიფრთხილე ამ მხრივ.

ხშირად წითელ არმიელები მიდიან ამ წყლის მილთან და ვინ იცის რას არ ყრიან შიგ; თუ ამაზე ზომები არ მიიღეთ წყლის მილი კიდევ უსუფთაობაში ჩავარდება, რადგან ლეგიონი ეხლა მიიღებს რამოდენიმე ას კაცს.

გააფრთხილეთ ძველი წითელი არმიელები, რომ ახალ წვეულებთან, რომლებიც კარანტინში იმყოფებიან ნუ შევლენ, თორემ მოსალოდნელია ახალ წვეულ არმიელს მოყვა რაიმე სენი რომელიც გადაედება ძველსაც.

ვიმედოვნებთ, რომ ექიმ-ფერშლები გამოიჩენენ თავისებურ ენერგიას ამ საქმეში, რაც უფრო გაგვიადვილებს ცხოვრებას.

საჭიროა აგრეთვე წითელ არმიელებს აეკრძალოთ წყლის მილის ცუდათ მოპყრობა.

სამხკორი **ს. იმნაიშვილი.**

ჩვენთანაც მოდიან ახალწვეულები.

ძველი წითელ არმიელების უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ, ქართული ცხენოსანი ლეგიონი შეუდგა ახალწვეულებისათვის შეხვედრის სამზადისს.

მოეწყო ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობის საერთო კრება, გამომუშავდა გეგმა თუ როგორ უნდა შევხვედროდით ახალწვეულებს და სხვა.

კრებაზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რათა შესაფერისად მორთულიყო კლუბი, სამკითხველო, ესკადრონები და ეზო.

განსაკუთრებით დიდი გადახალისება უნდა მომხდარიყო ლენინის კუთხეებში.

დაიწყო ლეგიონში გაცხოველებული მუშაობა, რომელშიდაც მხურვალე მონაწილეობას ღებულებდენ ლეგიონის უფ-პოლიტ და ადმინისტრატიული შემადგენლობა.

საქმე მოწესრიგდა. ყველაფერი რიგზე იქნა მოწყობილი და 24 ოქტომბერს უკვე მოვიდა ლეგიონში ახალწვეულების პირველი წყება.

ამხანაგები მოთავსებული იქნენ კარანტინში.

ყველა ამოქმედდენ. ექიმი თავის საქმეს აკეთებს: შინჯავს ახალწვეულებს, მიყავთ აბანოში, შემდეგ ათავსებენ სუფთა კარანტინში და აწარმოებენ აცრას, არიგებენ ტანისამოსს.

ახალწვეულებში დაიწყო საუბრები სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. შედგენილია ახალ პროგრამა კარანტინში სამეცადინოთ.

ყველა თავის საქმეს აკეთებს. კლუბი, ბიბლიოთეკა, კუთხეები და სხვა ამოქმედებულია. ჩვენი ცხენოსანი ლეგიონი ისევ გამოცოცხლდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, თბილისის ქუჩებს ისევ დაამშვენებს ქართველ წითელ ჩოხოსნების ლამაზი რიგები.

ცისპირელი.

მეთაურთა სკოლა.

24 ოქტომბერს უფროს მეთაურთა სკოლაში მოწვეული იქნა სკოლის კურსანტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ სკოლის მთელი შემადგენლობა და ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის, მეოთხე რაიკომის მბეჭდავთა უჯრედის წევრები.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ქკუასელი.

გასარჩევი იყო ერთი საკითხი, სახელდობრ: ჩვენი სკოლის დისციპლინა, მისი ამოცანები და სკოლის კურსანტთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ამ საკითხის ირგვლივ მომხსენებლად გამოვიდა სკოლის უფროსი ამხ. ი. ტალახაძე, რომელიც განსაკუთრებით ახალმოსულ კურსანტებს უმარტავს თუ ვის ემსახურებოდა ძველი სამხედრო სკოლები და ვის ემსახურება ეხლანდელი სამხედრო სკოლები.

შემდეგ მომხსენებელი უხსნის და აცნობს ახალმოსულ სკოლის რეგლმენტს.

ამხანაგი მოუწოდებს კურსანტებს მეტი სიმუყაითისაკენ, ბეჯითობისკენ და უსურვებს მათ თავიანთი დაწყებული საქმე პირნათლად შეასრულონ.

მოხსენების გარშემო გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

სამხკორი ჭ. ახათიანი.

პოლიტლატარეია.

28 ოქტომბერს უფრ-მეთაურთა სკოლის 3-მე ასეულში მოეწყო მოხსენება და პოლიტლატარეია.

პირველად მოხსენება გააკეთა ამხ. ლაპატინმა კურსანტების გეგმიან მუშაობის შესახებ და აღნიშნა ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ეღობება კურსანტების კულტურულ მუშაობას.

მან აღნიშნა, რომ ყველა კურსანტი უნდა ცდილობდეს კიდევ მეტ აქტიურობა გამოიჩინოს კულტურულ დარგში, როგორიც არის ლენინის კუთხე, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში და სხვა. ამით თქვენ შესძლებთ უფრო მეტად აამუშავოდ თქვენი გონება და მეტ ნაყოფს მოგიტანთ, ვიდრე თეორიაო.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კურსანტებს შორის პოლიტიკაზე კითხვა პასუხი და თუ, რომელიმე პირი დასაკმაყოფილებელ პასუხს ვერ გასცემდა ამხანაგს, მას მიუსჯიდა ამხანაგების მიერ არჩეული სასამართლო ისეთ სასჯელს, რაც დიდ მხიარულებას იწვევდა ყველა კურსანტებში. ასეთმა თამაშმა ძლიერ მიიზიდა კურსანტები და ყველა აქტიურად ჩაება ლატარეიაში.

ასეთი პოლიტლატარეიის ჩატარება ასეულში დიდ ნაყოფს მოუტანს ახლად მოწვეულ კურსანტებს. საჭიროა ხშირად მისი გათამაშება.

ლ. ჭელიძე.

სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

გაკვეთილი გათავდა. დასვენებაა; გაისმის ხმა მაღალი ლაპარაკი, ბაასი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

აი ორი კურსანტი გაცხარებით კამათობენ რაღაც საკითხზე.

ახალი კურსანტები შეჯგუფულან ერთად, დაბალი ხმით ლაპარაკობენ, ყურს უგდებენ ზოგი კამათს; ჯერ მორცხვობენ, არ არიან კარგათ გაშინაურებულნი.

ამხანაგებო! შეგროვდით ყველა დიდ კლასში.

გაისმა მორიგის ხმა.

კურსანტები გაეშურნენ კლასისკენ, დალაგდნენ.

გამოჩნდა სამოსწავლო ნაწილის უფროსი ამხ. მათითაიშვილი გაზეთით ხელში.

— ამხანაგებო! დღევანდელი გაზეთები გვაცნობებენ, რომ საფრანგეთმა იცნო საბჭოთა კავშირი.

იგრიალა ტაშმა.

— იცნობდა მარა, როცა გაუჭირდა ამბობს ერთი.

მაშ ერიოს ჯანი არ გავარდება, რომ არ გვიცნოს—დასძენს მეორე.

ამხ. მათითაიშვილი შემდეგ ლაპარაკობს თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ცნობას როგორც ჩვენთვის, ისე სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისათვის და რა ცვლილება შეიძლება მოხდეს ჩვენ საგარეო პოლიტიკაში.

ამის შემდეგ ის შეეხო ინგლისის მდგომარეობას, მეორე ინტერნაციონალის ხრიკებს და ყალბ წერილს, გაგზავნილს ვითომ მე-3 ინტერნაციონალის მიერ.

— მაგითი ფონს ვერ გავლენ, სულ ერთია გამარჯვება ინგლისის მუშების მხარეზეა.

დღეს თუ არა ხვალ იქ, დასავლეთში, იფეთქებს სოციალური რევოლიუცია და მაშინ ჩვენ ღირსეულად გაუსწორდებით მუშათა კლასის მტრებს.

მქუხარე ტაში აჯილდოვებს მომხსენებლის.

მოხსენების შემდეგ კურსანტები იძლეოდნენ შეკითხვებს.

შემდეგ ილაპარაკა სკოლის უფროსმა ამხ. ნადირაძემ კურსანტების მოვალეობაზე, დისციპლინაზე და მომავალ მეცადინეობაზე.

კურსანტები გულმოდგინეთ უგდებდენ ყურს და აძლევდნენ

შეკითხვებს ამა თუ იმ საგნის შესახებ.

კრება დაიხურა ინტერნაციონალით, რის შემდეგ მეცადინეობა გაგრძელდა.

ელიაზარ.

მეხუთე ლეგიონის ურთიერთობის დამხმარე კასა.

უკვე სამი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ლეგიონში არსებობს ურთიერთ დამხმარე კასა, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ კასის თავის სიმაღლეზე დაყენებას საშველი არ დაადგა.

ორი თუ სამი კვირის წინად ლეგიონის სამკომის მიერ დანიშნული იქნა ამ საქმის გამოსარკვევად სპეციალური კომისია. მაგრამ ჯერ მაინც ვერ გამოირკვა გაფლანგულ თანხების რაოდენობა, რადგან კასის გამგე არ იმყოფება ლეგიონში.

საქმის გამორკვევა ამიტომ ჯერ-ჯერობით გადადებულია. აირჩიეს ახალი გამგეობა, მაგრამ მართალი უნდა ვსთქვათ ესეც არა სდგას თავის სიმაღლეზე.

ფულის გაფლანგვის შიში ეხლა აღარ არის, მაგრამ თვით კასა არ ასრულებს თავის მოვალეობას.

იქ ადგილი აქვს ნათლი-მამობას. ვისთვისაც აუცილებლად საჭიროა დახმარება, მისთვის კასაში არ იმყოფება ფული, ხოლო ნაცნობებისა და ნათლი-მამებისათვის კი ფული ყოველთვის არის. მე ამას ფაქტებით დავამტკიცებ თუ საჭირო იქნება, რომ გამგეობას თავმჯდომარე, ისეთებს უწერს ფულს, რომლებსაც სრულიად არ ესაჭიროებათ დახმარება.

ასეთ საქციელს ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო.

კასა აუცილებლად უნდა დადგეს თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

ილია ეფრემიძე.

ჩვენი შემოქმედებანი·

„ცოდნის ტაძარი“. № 1 (1 ლ ქარ. მსრ. დივ· ცალკე საკავშირო ასეულის ორკვირეული საბიბლიოთეკო კედლის გაზეთი).

ეს გაზეთი ამ რამოდენიმე დღის წინად გამოვიდა.

დაწერილია კარგ ქაღალდზე გარკვეული ხელით.

ფორმატი საშუალოა.

თავზე ამშვენებს ლამაზი მხატვრობა-გაშლილი წიგნი-წარმატებით:

ცოდნა ძალაა და ზედ შრომის სიმბოლო—ჩაქუჩ-ნამგალი. მაღლა, წითელი ვარსკვლავი.

წერილები:

1. ჩვენი ბიბლიოთეკა.

2. კულტურულ მუშაობისაკენ,—ორივე საბიბლიოთეკო კითხვებს ეხებიან. მაგრამ ერთობ გრძელია, რაც კედლის გაზეთს არ შეჰფერის.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ პატარა შავ დაფას, სადაც ყველას აკრავენ, ვინც წიგნს არ უფრთხილდება, განცხადებას და ორ კუპლეტიან ლექსს—მთელი გაზეთი ამ ზემომოყვანილ წერილებს უჭირავს;—შემდეგისათვის **გაზეთი** აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ლექსი „ავხსნათ ხუნდი“—კარგია.

რადგანაც ეს გაზეთი სპეციალურ ხასიათს ატარებს უნდა დაწვრილებით აშუქებდეს საბიბლიოთეკო საქმეს, ანგარიშებს, სარეკომენდაციო სიებს, ბიბლიოთეკის მიზნებს, მის ისტორიას, რა წიგნები უნდა იკითხონ ჩვენმა წითელ არმიელებმა და სხვა.

მაშინ გაზეთის მიზანიც მიღწეულ იქნება.

შემდეგ: წერილებია თუ მხატვრული შემოქმედება ყველა რიგზე უნდა იყოს და განყოფილებებად დაყოფილი.

მაგ. ამ ნომერში, ლექსი ისეთ ადგილასაა მოთავსებული (პირველი წერილის ბოლოში) და ისე უშნოდ, რომ ვერავინ მიხვდება ლექსია თუ სხვა რამ.

საჭიროა შემდეგი ნომრისთვის უფრო იმუშაოს სარედაქციო კოლეგიამ.

სანი.

პარტიული ცხოვრება.

უნცროს მეთაურთა სკოლა.

24 ოქტომბერს შესდგა ამხ. ობოლაძის სახელობის 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის უმც. მეთ. სკოლის კომუჯრედის მორიგი კრება, რომელსაც დაესწრო 9 პარტიული და 27 ახ. კომკავშირის წევრი.

კრებას რიგის მიხედვით თავმჯდომარეობდა ამხ. თავართქილაძე.

კრების გახსნისას მდივანი კითხულობს დღის წესრიგს: ა) ოქმის დამტკიცება, ბ) მოხსენება მსროლელ დივიზიის ტფილისის გარნიზონში მყოფ ახ. კ. კ. ორგანიზატორების თათბირების შესახებ, გ) პარტ-მდგომარეობის გამორკვევა, დ) განცხადებების განხილვა და ე) მიმდინარე კითხვები.

წარსული ოქმი კრების მიერ დამტკიცებულ იქნა მომხსენებელი აღნიშნავს ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების შინაარსს და გვაცნობს ამხ. პატარაიას მოხსენებას წითელ არმიაში ახალგაზრდათა კავშირის ამოცანებზე, რომელმაც წარსულ მუშაობის გათვალისწინებით და ახალი სტრუქტურით მიგვითითა მომავალ პერსპექტივებზე.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მესამე საკითხში გამორკვეულ იქნა იმ ახ. კ. წევრთა მდგომარეობა, რომელთაც არ ქონდა საწევრო მოწმობა სხვა და სხვა გვარ საპატიო მიზეზების გამო.

ბოლოს განხილულ იქნა განცხადებები: ა) ჰეიშვილის, მენთეშაშვილის, ბერიძის, გიორგაძის, ლორთქიფანიძის და სანაძის.

ხუთი ამხანაგების განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა, ერთი კი გადიდვა მორიგ კრებისათვის.

მიმდინარე კითხვები არ აღმოჩნდა.

ე·ც·

საზღვარ გარეთის არმიებში.

უდიდესი სარელიეფო რუქა მსოფლიოში.

კალიფორნიაში (ამერიკა) ამთავრებენ მთელი კალიფორნიის შტატის რელიეფის (მიწის ზედაპირის) რუქას. თავისი სიდიდით ის პირველია მსოფლიოში მის მსგავს რუქებთან შედარებით.

რუქის სიგრძე უდ. 600 ფუტს და სიგანე კი 18 ფუტს. მისი ღირებულება აღწევს დაახლოებით 100,000 დოლარამდე. რუქა განათებულია სინათლის მალული სხივებით და სწორედ ამის გამო რუქა ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა, თითქოს ჰაეროპლანიდან (ფრენის დროს) დასცქეროდე მთელი კალიფორნის ზედაპირს.

ინგლისის ადმირალი საბერძნეთის ფლოტის ინსტრუქტორი.

ათინიდან მიღებული ცნობით, ბრიტანეთის მთავრობა დათანხმდა საბერძნეთის საზღვაო სარდლობის თხოვნაზე, რათა ინგლისის მთავრობამ მიავლინოს საბერძნეთში ერთი თავისი ადმირალთაგანი, რომელიც უხელმძღვანელებს საბერძნეთის სამხედრო ფლოტში სამსახურის საქმეს და ხელს შეუწყობს საბერძნეთის გემთ-საშენებლო პროგრამის სისრულეში მოყვანას.

ავიაცია და საზღვაო ფლოტი.

ამერიკული მფრინავების მიერ დედამიწის გარშემო ფრენით შამოვლამ, ამერიკაში დაბადა ერთგვარი აზრი, რომ სამხედრო საჰაერო ფლოტის გაძლიერება უფრო ხელსაყრელია, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიდრე საზღვაო ფლოტისა. ამერიკის საზღვაო მინისტრის სასწრაფო გაწვევას ვაშინგტონში, ლონდონის პრესა ხსნის იმ გარემოებით, რომ პრეზიდენტ კულიჯს განზრახვა აქვს შესცვალოს ბიუჯეტის განაწილება საზღვაო ფლოტისა და ავიაციის შორისო.

ავიაციის საჭიროებისათვის გადარიცხული იყო წლიური ბიუჯეტიდან 60 მილიონი მანეთი.

გაცილებით მეტი თანხები იყო გადადებული საზღვაო საარტილერიო ჯავშნოსნებისა, შეკეთებისა და გაძლიერებისათვის.

დედამიწის ირგვლივ ფრენით შამოვლის გამარჯვების შემდეგ, ამერიკელი სამხედრო ექსპერტები კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეუძლებელია ამერიკიდან—ევროპაში საჭიროების დროს ავიაციის საშვალებით გადაყვანილი იქნეს სამხედრო ნაწილების საჭირო რაოდენობაო.

შეერთებულმა შტატებმა ხელი უნდა აიღონ იმ ფიქრზე, რომ საჭიროების დროს აეროპლანებით გადაიყვანებენ ევროპაში იმდენ სამხედრო ძალას, როგორც 1918 წელში გადაიყვანეს საზღვაო ფლოტის საშვალებითო.

ამბები სოფლებიდან.

ტელეფონი შორაპნის მაზრაში.

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს ტელეფონის ქსელი იმ რაიონებში, სადაც ასეთი არ არსებობს და საამისო მუშაობას შეუდგეს უახლოეს ხანში.

მოუსავლიანობით დაზარალებულნი.

სიღნაღის მაზრაში, ამჟამად სწარმოებს მოუსავლიანობით დაზარალებული გლეხების აღრიცხვა.

სამხრეთ ოსეთში.

სამხრეთ ოსეთის ცენტ. აღმას. კომიტეტმა დაადგინა მოახდინოს სახელმწიფო დაწესებულებათა რეორგანიზაცია, რისთვისაც გამოყო ცალკე კომისია.

ჭიათურის გაწმენდა.

შორაპნის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა შინ. საქმ. სახ. კომისარიატის წინაშე, ჭიათურის გაწმენდის შესახებ არა საიმედო და უქმ ელემენტებისაგან.

სახლების გადაცემა გლეხკომზე.

ზუგდიდის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ გლეხკომს ორი სახლი, გლეხთა სასახლისა და ბავშვთა თავშესაფრის მოსაწყობათ.

ახალი ამბები.

— **კონკურსი საუკეთესო ლენინის კუთხეზე.** პოლიტგანყოფილების საკლუბო სექციას განზრახული აქვს გამოაცხადოს კონკურსი ქართულ ნაწილებს შორის საუკეთესო ლენინის კუთხეზე.

— **კედლის გაზეთები.** ოქტომბრის დღესასწაულებისათვის ყველა ქართული ნაწილებში გამოვა საკუთარი კედლის გაზეთები.

— **მანქანების გამოწერა.** უმაღლესმა სამეურნ. საბჭომ ქუთაისის საფეიქრო ქარხნის საჭიროებისათვის გამოიწერა გერმანიიდან მანქანები.

— **მეფუტკრეობის კურსები.** მიწა.-მოქმ. კომისარიატმა მოაწყო მოკლე ვადიანი კურსები გორში, ლეჩხუმში, ზესტაფონში, ლანჩხუთში და სამტრედიაში.

— **ბავშვების გაზეთი.** განათლების კომისარიატმა დაავალა სოც. აღზრდის მთ. სამმართველოს სამხატვრო სექციას გამოსცეს ბავშვების გაზეთი მხოლოთ ბავშვების მონაწილეობით.

— **რადიო ტფილისში.** დღეს შესდგება საუწყებათ შორისო თათბირი თფილისში ძლიერი რადიო სადგურის გახსნის შესახებ. აღნიშნული რადიო სადგურის საშუალებით მოწყობილ იქნება კონცერტები და სხვა.

— **კერძო რადიო სადგურები.** კერძო მცირე ძალოვანი მიმღებ რადიო სადგურების მოსაწყობათ, ნებართვა ეძლევათ რიგს გარეშე რადიოს მოყვარულთა საზოგადოების წევრებს.

— **წერა-კითხ. უცოდინარობა გარე კახეთში.** 1-ლი ნოემბრიდან საგარეჯოს რაიონში იხსნება წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტები და მცირე მცოდნეთა. სკოლები.

ბიბლიოგრაფია

ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ.

წიგნები:

1. ოქტომბრის გზით.—მოგონებათა კრებული. ტ· ცეკა 1923 წ. 10 გვ.

2.—ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო. წერილების კრებული ტ· ცეკა . . . . 1923 წ. 232 გვ.

3. პროლეტარული დღესასწაული კლუბებში. ტ. მნათობი 1924 წ. 75—112 გვ.

4.— პროპაგანდის თანამგზავრი. ტ. ცეკა. 1923 წ. 219—231 გვ.

5. ტროცკი ლ, „ოქტომბრის რევოლიუცია“ ტ. ცეკა. 1922 წ. 111 გვ.

6.—რიდი ჯონ. ათი დღე, რამაც შეძრა ქვეყნიერება „წითელი წიგნი“ 1923 წ.

7. (ფლეროვსკი ი. ოქტომბრის რ)

8. ფლეროვსკი ი. ოქტომბრის რევოლიუცია და ახალი ეკონომიური პოლიტიკა ტ. ცეკა. 1923. წ.

9. ნოვიცკი. მეფის თვითმპყრობლობიდან პროლეტარიატის დიქტატურამდე ტ· ცეკა . . . . 1923 წ. 146—218 გვ.

ჟურნალებიდან:

10. 1923. წ. ჟურ. „დროშა“ № 1 მუშური რევოლიუცია მიხ. კახიანი . . . . 10—13 გვ.

11. 1923 წ. „რევოლიუციის მატიანე“ № 3. „დიადი ოქტომბერი“ თალაკვაძის . . . . 171—186 გვ.

გაზეთებიდან:

12. 1923. წ. „კომუნისტი“ № 257.

1) მეთაური.

13. 2) ოქტომბერი ივლისის წინააღმდეგ. ორაგველიძე.

14. 3) ვლადიმერ ილიჩი ოქტომბრის წინა დღეებში.

15. 1922 წ. „კომუნისტი“ № 256

16. 1) მეთაური.

17. 2) ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო.—რაჟდენ კალაძე.

18 3) ოქტომბრის დღეები მოსკოვში—მამულია.

19. 4) ოქტომბერი კარპატებში.—გოდაბრელიძე.

შენიშვნა: ხმა მაღალი კითხვისათვის იქნეს გამოყენებული წიგნები, რომლებიც აღნიშნულია ხაზებით.

ნ. ფ. ს. ც ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—შ. ჩუბინიძე